

ჩილვინაძეების გვარის ისტორია

(მოკლე ვარიანტი)

ავტორი-შემდგენელი გივი ჩილვინაძე

2017 წლის 14 მაისს ჩილვინაძეების, იგივე ჩილუნაძეების გვარი დაგვლოცა სრულიად საქართველოს კათალიკოს პატრიარქმა, უწმინდესმა და უნეტარესმა ილია მეორემ.

ჩილვინაძეების გვარის წარმოშობის ფუძესოფლად მიჩნეულია ფარახეთი რაჭაში, ონის რაიონში (გიორგი ბოჭორიძე, რაჭა-ლეჩხუმის ისტორიული ძეგლები და სიძველეები, თბ., 1994, გვ. 211... ხელნაწერთა ეროვნული ცენტრი, გიორგი ბოჭორიძის ფონდი N 38. (ხელნაწერთა ეროვნული ცენტრი, Hd 1329. იგივე ტექსტი წიგნში: სარგის კაკაბაძე, საისტორიო კრებული, წიგნი I, 1928, გვ. 51-52).

გვარის ფუძესალოცავია ფარახეთის მთავარანგელოზთა ეკლესია. ჩვენი წინაპრების უმეტესობა საეკლესიო გლეხები იყვნენ და ჯრუჭის წმინდა გიორგის მონასტერს ემსახურებოდნენ. ამდენად, ამ სალოცავსაც ახლობლად მივიჩნევთ (გიორგი ბოჭორიძე, რაჭა-ლეჩხუმის ისტორიული ძეგლები და სიძველეები, თბ., 1994, გვ. 211... ხელნაწერთა ეროვნული ცენტრი, გიორგი ბოჭორიძის ფონდი N 38. (ხელნაწერთა ეროვნული ცენტრი, Hd 1329. იგივე ტექსტი წიგნში: სარგის კაკაბაძე, საისტორიო კრებული, წიგნი I, 1928, გვ. 51-52).

გვარის წმინდანებდ გამოირჩა მთავარანგელოზები მიქაელი და გაბრიელი. დაიწერა მთავარანგელოზთა საგვარეულო ხატი. ხატმწერი ნათია ნუკრაძე.

ჩვენი გვარის წარმომადგენლები სხვადასხვა ფორმით (ჩილვინაძე ჩილუნაძე, ჩილვინიძე, ჩიგუნაძე) სულ ვართ 275. თბილისში - 173, რუსთავში - 30, ონში - 15. ქუთაისში - 13. ჭიათურში - 14. საჩხერეში - 9 . ამბროლაურში - 5 და სხვა...

გვარის წარმომადგენლები: ია ჩილვინაძე, გივი ჩილვინაძე, ემზარ ჩილუნაძე...

შესავალი

ისტორიულად ჩილვინაძეების გვარის განსახლების უპირველესი ადგილია სოფელი ფარახეთი რაჭაში, ონის რაიონში. შემდეგ რაჭის სოფლები შარდომეთი, ჭიბრევი, სამთისი, პატარა ონი, ზემო სხვადა და ქალაქი ონი. მოგვიანებით ჩილვინაძე სახლობდა ტყიბულის რაიონის სოფელი წყნორში და ბაღდადის რაიონის სოფელ კორიშში. XIX საუკუნის 50-იან წლებში ამ გვარის ერთი წარმომადგენელი საჩხერის რაიონის სოფელ მოხვაში დასახლდა და მალე აქაც მოვმრავლდით ჩილვინაძეები. დღეისათვის ჩილვინაძეების აბსოლიტური უმრავლესობა თბილისში ცხოვრობს. ამ გვარის წარმომადგენლები გვხვდებიან აგრეთვე რუსთავში, ქუთაისში, იმერეთის რამდენიმე რაიონში და ზემოთდასახელებულ სოფლებში. არსებობს ჩვენი გვარის სამი პარალელური ვარიანტი: ჩილვინაძე, ჩილუნაძე და ჩილვინიძე. სამივე ფორმა გვხვდება გვარის განსახლების ყველა ადგილზე. ამ ვარიანტებიდან მეტად გავრცელებულია ჩილვინაძე. გვარის აღმავალმა შტოებმა ძირითადად ეს ფორმა მიიღეს, როგორც მართებული ვარიანტი.

გვარის ეტიმოლოგიისათვის დიდი მნიშვნელობა აქვს, თუ როგორი ფორმითაა დაფიქსირებული იგი ძველ წარწერებსა და ხელნაწერებში. აღნიშნული გვარის მოხსენიების უპირველეს წყაროდ უნდა დავასახელოთ სოფელ ფარახეთის მთავარანგელოზთა ეკლესიის კედლის წარწერა, სადაც ეკლესიის მაშენებელ თორმეტ გვარს შორის, რიგით მესამე ადგილზე, ჩრდილოეთის მხარეს, წმიდა ოქროპირისა და წმიდა რომანოზის გამოსახულებებს შორის მოხსენიებულია ჩილუნაძე. ამ წარწერას გიორგი ბოჭორიძე ასე კითხულობს: „ჩილუნაძეს, მომავალთა მათ ყოველთა შეუნდოს ღმერთმან, ამინ“. წარწერა ასომთავრულია, მასში, როგორც ამ დროს ხდებოდა ხოლმე, ხმოვნების უმეტესობა გამოტოვებულია (გიორგი ბოჭორიძე, რაჭა-ლეჩხუმის ისტორიული ძეგლები და სიძველეები, თბ., 1994, გვ. 211. ხელნაწერთა ეროვნული ცენტრი, გიორგი ბოჭორიძის ფონდი N 38) გიორგი ბოჭორიძე ეკლესიას და მის წარწერებს XVII საუკუნით ათარილებს. ე. ი. ამ დროს აღნიშნული გვარის ფორმა იყო ჩილუნაძე. ამასთანავე მკვლევარი ზემოთმოყვანილი წარწერის ჩაწერისას თავის რვეულში ჩილუნაძეს თავზე აწერს ჩილვინაძეს და ეს მეორდება იმდენჯერ, რამდენჯერაც ახსენებს იგი ამ გვარს (ხელნაწერთა ეროვნული ცენტრი, გიორგი ბოჭორიძის ფონდი N 38). თუმცა ეს შემთხვევა წიგნის გამოცემის დროს შემდგენლებს არ დაუფიქსირებიათ. საქმე იმაშია, რომ გასული საუკუნის 20-იანი წლების ბოლოს, როცა მეცნიერი რაჭის ეკლესიებს აღწერდა, ფარახეთში აღნიშნული გვარი უმეტესად ახალი ფორმით „ჩილვინაძე“ დასტურდებოდა. ამის მიზეზებს კი ქვემოთ დავინახავთ.

1755 წლის ახლოსაა დაწერილი იმერეთის კათალიკოსის ბესარიონის შეწირულობის საბუთი, სადაც ჩილუნაძე იხსენიება (დასავლეთ საქართველოს საეკლესიო საბუთები, 1921, გვ. 7). შემდეგი, შედარებით ძველი საბუთი, სადაც ჩვენი გვარი ფიქსირდება, გახლავთ სოლომონ II-ის სიგელი ჯრუჭის წმინდა გიორგის მონასტრისადმი, მიცემული 1791 წელს (ქუთაისის ისტორიული მუზეუმი N 138). ცნობილია, რომ ზემო იმერეთის უკიდურეს ჩრდილოეთ ნაწილში მდებარე ამ მონასტერს გლეხები რაჭაშიდაც მრავლად ჰყავდა. აქვე აღნიშნულია, რომ ჩვენ ჯრუჭის მონასტრამდე ვეკუთნოდით სოლომონ I-ის კარის მღვდელს დავით წერეთელს. დავითი კი სოლომონ მეორისა და ამ სიგელის შემდგენლების დახასიათებით იყო: „მღვდელი ვინმე პატიოსანი დავით მისვე მეფისა სოლომონისაგან პატივცემული, რომელსა თვისნი დღენი ერთგულებით მონებასა შინა მისსა წარველო და სადაცა და ოდესცა ჭირი რაიმე წაჰკიდებოდა მას მეფესა, ესეცა თანა ყოფილიყო და ვნებანი მისნი ამასცა ეტვირთნეს და ოდეს ჩვენდა მოიწია, პატივით შეწყნარებულსა ჩვენცა პატივ ვეცით და შევიტკებთ კაცი სულმემოსილი გუარობით წერეთელი, ერთგული და ერთგულთა ტომთაგან შთამომავალი ღირსი ქებისა კარის დეკანოზი ჩვენი დავით, რომელიცა უწყალოსა სიკუდილსა ეწყალა და ერთიღა მხოლოდ ძე მიელო და იგი უმკვიდრო იყო. და შემდგომად მისსა ქონებული მისი მამული სამეფოდ იდებოდა და მეფისაგან სოლომონისა მტკიცის პირით და მოუშლელის დავთრით დამტკიცებული წყალობაცა და ვინაითგან ესე მღვდელიცა ფრიად ჰყუარობდა სულსა მისსა, ნებითავე მისითა ყოველივე მისი ქონებული შევწირეთ შენდა დიდო მოწამეო გიორგი ჯრუჭისა უდაბნოსა შინა და განუსაკუთრეთ პატიოსანსა მას ადგილსა და მონასტერსა და მას შინა შეკრებილთა წმინდათა მამათა...“ შემდეგ ჩამოთვლილია შეწირულობანი (ქორეთს სასახლე და ყველა მისი მიმდებარე ადგილი, ასევე რამდენიმე გლეხი გუდაძეები, დათუაშვილი, კაპანაძეები, ბიჭაშვილი, მეგრელიშვილი, ყარვაძეები, ლილუაშვილები, ქამუშაძეები. ითხვისს მეგრელიშვილი, მჭედლიძეები. სევას - ნადირაშვილები, ჭიბრევს - შოშიკა. მარტუათ უბანს - ქამუშაძეები, ესიტაშვილი...) და მათ შორის, „რაჭას, ფარახეთის სასახლე თავისის ადგილით, მამულით, მიწით, წყლით, ტყით და ყოველითურთ მისის ქონებულით. მოსახლე ჩილუნაძე შაქარი მისი ძმითა და ძმისწულითა, კვალად ჩილუნაძე სიმონა, კაციელა, სეხნიკა და რამაზიკა... მათის ყოველითურთ ქონებულით შენდა შემომიწირავს დიდო მოწამეო გიორგი ჯრუჭისაო. შეიწირე ვითარცა ქრისტემან მწულილი და ვითარცა მამამან საუკუნემან ახელის ძღულენი და აბრაამის შესაწირავი, საოხად სულისა მეფისათვის სოლომონისა და სახსენებლად საუკუნოდ და მეცა შემწე მექმენ და მეფობა

ჩემი წარმართე, რათა შენ მიერ განძლიერებულმან კვალიადცა უძლო მსახურებად შენდა. ესე წმინდა განჩინება ესრეთ განვასაზღვრეთ, ვიდრემდის ცოცხლობდეს ესე პატიოსანი მღვდელი დავით, მას მსახურონ და შემდგომად მიცუალებისა მისისა უცუალებლად განესაკუთროს უდაბნოსა ჯრუჭისასა“...

სიგელს ხელს აწერენ და ბეჭდებს უსვამენ: იმერეთის მეფე სოლომონ მეორე, დედოფალი მარიამი, ქუთათელი მიტროპოლიტი დოსითეოსი (წერეთელი), გაენათელი მიტროპოლიტი ეფთვიმე (შერვაშიძე), მთავარეპისკოპოსი ანტონი, შემოქმედელი მიტროპოლიტი იოსები, ნიკორწმინდელი ყოვლად სამღვდლო ეპისკოპოსი სოფრომი... (მარიამ გაფრინდაშვილი, სოლომონ მეორის სიგელი, ქუთაისის ისტორიული მუზეუმის შრომები, კრებული XXI, 2011 წ., გვ. 27-30).

ესაა პირველი საბუთი, სადაც არა მარტო გვარი სახელდება, არამედ კონკრეტული წარმომადგენლები თავიანთი სახელებით: ჩილუნაძე შაქარი, სიმონა, კაციელა, სეხნიკა და რამაზიკა...

მესამე უძველესი საბუთი, სადაც ჩვენი გვარის წარმომადგენლები იხსენიებიან, გახლავთ ასევე ჯრუჭის მონასტრის სიგელი მომზადებული 1809 წელს სოლომონ II იმერეთის მეფისათვის დასამტკიცებლად. ამ სიგელში ჯრუჭის მონასტრის კუთვნილ გლეხებს შორის ისევ იხსენიებიან სოფელ ფარახეთში მცხოვრებნი: ბერიკა ჩილუნაძე, მახარიკა ჩილუნაძე, კაციელა ჩილუნაძე და თამაზიკა ჩილუნაძე თავიანთი ვალდებულებებით მონასტრის წინაშე:

„... ბერიკა ჩილუნაძეს მართებს ერთი კოკა ღვინო, ერთი კოდი პური, მარჩილის პორცი, ერთი ქათამი, საური, კვირაში ორი დღის სეფეობა.

მახარიკა ჩილუნაძესა და პაპუნიაშვილებს მართებს: ერთი კოკა ღვინო, ერთი კოდი პური, მარჩილის ხორცი, ერთი ქათამი, საური, სეფეობა - კვირაში ორი დღის მუშაობა.

კაციელა ჩილუნაძის შვილსა და რამაზიკას მართებს ერთი კოკა ღვინო, ერთი კოდი პური, მარჩილის ხორცი, ერთი ქათამი, საური, კვირაში ორი დღის სეფეობა.

თამაზიკა ჩილუნაძის შვილსა და მისს სახლის კაცებს მართებს: ერთი კოკა ღვინო, ერთი კოდი პური, ერთი ქათამი, საური, კვირაში ორი დღის სეფეობა“... (ხელნაწერთა ეროვნული ცენტრი, Hd 1329. იგივე ტექსტი წიგნში: სარგის კაკაბაძე, საისტორიო კრებული, წიგნი I, 1928, გვ. 51-52).

XIX საუკუნის ერთი ისტორიული საბუთით, რომელსაც ეწოდება „მოკლე აღწერა რიცხვისა ეკლესიის ყმათა და ეკლესიის შემოსავალთა რაჭის მაზრასა შინა“, ვგებულობთ, რომ ფარახეთში ჯრუჭის მონასტრის კუთვნილ ხუთ გლეხს, ჩილუნაძეებს, 14 მამრობითი სქესის ოჯახის წევრი ჰყავდათ და წელიწადში 17 ვერცხლის მანეთს უხდიდნენ მონასტერს.

ფორმით „ჩილუნაძე“ გვარი გვხვდება აგრეთვე ჯრუჭის მონასტრის წინამძღვრის სიმონის მიერ ამავე მონასტრის მამულების აღწერაში 1883 წელს (ქუთაისის ისტორიული მუზეუმი N 6475/1341.), რომლის მიხედვითაც ჯრუჭის მონასტრის კუთვნილ „ჯოგის საბინაო ადგილს“ რაჭის ქედზე „ჩრდილოეთით ჩილუნაძის ადგილები“ ესაზღვრებოდა. „ჩილუნაძის სათიბი“ დღესაცაა რაჭის ქედზე, ხიხამთაზე, მას ბოლო დროს მოხველი ჩილუნაძეები ვთიბავდით. თუმცა გადმოცემით ვიცი, რომ დაახლოებით იმავე ადგილებში ფარახელი ჩილუნაძეებიც გადმოდიოდნენ.

რაჭის XIX საუკუნის 40-იანი წლების საბუთებში სხვებთან ერთად მოცემულია ჩილუნაძეთა სოციალური მდგომარეობა და საცხოვრებელი ადგილები. ამ დროს გვარი უკვე ორი ვარიანტითაა მოხსენიებული (ჩილუნაძე, ჩილვინაძე). სოფ. ზემო სხვავაში საეკლესიო გლეხებს შორის გვხვდება „ჩილვინაძე“, პატარა ონში საბატონო გლეხებს შორის - „ჩილვინაძე“, ფარახეთში საეკლესიო გლეხებს შორის - „ჩილვინაძე“, იქვე, საბატონო გლეხებს შორის - „ჩილვინაძე“, სამთისში სახელმწიფო გლეხებს შორის - „ჩილუნაძე“, იქვე, საბატონო გლეხებს შორის - „ჩილუნაძე“ და შარდომეთში საბატონო გლეხებს შორის - „ჩილუნაძე“ (მერაბ კეზევაძე, ქართული გვარსახელები რაჭაში XIX საუკუნის 40-იან წლებში, ქუთაისი, 2002 წ.).

როგორც ჩანს, XIX საუკუნის 40-იანი წლების საბუთების მონაცემებით შვიდი შემთხვევიდან 4-ჯერ გვხვდება „ჩიღვინაძე“, ხოლო 3-ჯერ - „ჩიღუნაძე“.

ფარახეთიდან იმერეთში, სოფელ მოხვაში ჯრუჭის მონასტრის მიერ დასახლებული ბაბუაჩემის მამა ფრიდონი ჩიღვინაძედ სწერია მოხვის წმინდა გიორგის ეკლესიის 1861 წლის ჩანაწერთა წიგნში (საქართველოს ეროვნული არქივი, ფონდი 486, აღწ. 6 საქმე 1475).

ყოველივე ზემოთ აღნიშნულიდან შეიძლება დავასკვნათ, რომ გვარის უძველესი ფორმა იყო „ჩიღუნაძე“. შემდეგ ჩნდება „ჩიღვინაძე“ და უფრო იშვიათად „ჩიღვინიძე“. უხმოვნის ვი - დ გადაქცევა ჩვეულებრივი მოვლენაა ქართულ ენაში, ამის დასადასტურებლად მრავალი მაგალითი შეიძლება მოვიტანოთ.

ჩიღუნაძე, ჩიღვინაძე და ჩიღვინიძე რომ ერთი გვარის პარალელური ვარიანტებია, კარგადაა ცნობილი ამ გვარის წარმომადგენლებისა და სხვებისთვისაც. ამის შესახებ აღნიშნულია სამეცნიერო ლიტერატურაშიც (ილია მაისურაძე, ქართული გვარსახელები, თბ., 1981, გვ. 201).

რადგან ხალხურ მეტყველებაში ხან ერთი ფორმა გაისმოდა, ხან მეორე და ხანაც მესამე, საბუთებშიც სამივე მათგანი დაფიქსირდა. ზოგჯერ ერთი ოჯახის წარმომადგენელი ორი ძმიდან ერთი ჩიღვინაძედ ეწერება, მეორე - ჩიღუნაძედ. ამასთან, დღეს გვარის უმრავლესობა ვატარებთ ფორმას „ჩიღვინაძე“.

რაჭაში არსებობს ჩიღვინაძეების (ჩიღუნაძეების) მიერ მოშენებული ვაზის ჯიში „ჩიღვინაური“. ასევე ეწოდებოდა მისი ყურძნისაგან დაწურულ ღვინოსაც. ჩიღვინაძეები ძირითადად მევენახეობასა და მეღვინეობას მისდევდნენ. ამ ვაზის ჯიში და მისი ღვინო ძალიან სახელგანთქმული ყოფილა და მასზე ხალხური ლექსიც შექმნილა, ცნობილი ლექსის რაჭული ვარიანტი: „შენ ღვინოვ ჩიღვინაურო, უცეცხლოდ გადმოდუღდე“... (ქართული ენის განმარტებითი ლექსიკონი, ტ. VIII, გვ. 518... ივანე ჯავახიშვილი, საქართველოს ეკონომიკური ისტორია, წ. II, 1934, გვ. 445). „ჩიღვინაური - (ზ. რაჭ.) ვაზის ჯიშია, მრგვალი მარცვალი და მეჩხერი მტევანი აქვს. ამ თეთრი ყურძნისაგან ქიშმიშს ამზადებენ (თავდაპირველად ჩიღვინაძისაგან გავრცელდა) (მიხ. ალავიძე, ქართული დიალექტიკური ლექსიკიდან, ქუთაისის პედ. ინსტიტუტის შრომები, ტ. 24, გვ. 288, 1962 წელი).

საფიქრებელია, რომ ვაზისა და ღვინის სახელწოდებამ გარკვეული როლი ითამაშა ჩიღუნაძის ჩიღვინაძედ გარდაქმნაში. კერძოდ, როცა სიტყვაში ორი უხმოვანი აღმოჩნდა (ჩიღუნაური), ერთ-ერთი ვი-დ გადაკეთდა. მივიღეთ ჩიღვინაური. ამას, ალბათ, იმანაც შეუწყო ხელი, რომ როცა კაცი მღეროდა „შენ ღვინოვ ჩიღუნაურო“... თუ პირველად ჩიღუნაურს ამბობდნენ, მის წინ მდგომი „ღვინოვ“ სიტყვის გავლენით (ბუნებრივი ალიტერაცია) მომდევნო სიტყვაც ჩიღუნაურო ჩიღვინაურო-დ გადაიქცა. ხოლო რადგან ვაზისა და ღვინის სახელწოდება ჩიღვინაურად ჩამოყალიბდა, შემდეგ მისი გავლენით გვარიც ჩიღვინაძედ გარდაიქმნა. აღსანიშნავია ისიც, რომ ჩიღვინაძეებად უმეტესად ფარახელები და იქიდან მოგვიანებით წამოსულები ვიწერებით, სწორედ ფარახეთში იყო თავდაპირველად გავრცელებული „ჩიღვინაური“.

როგორც ვხედავთ, თუ გვარის წარმომადგენლებმა ვაზის ახალი ჯიში გამოიყვანეს, ამ ვაზმა თავისი სახელის გავლენით თვით გვარს შეუცვალა ფორმა, შეიძლება ითქვას, რომ უფრო გაალამაზა იგი.

არსებობს გადმოცემა, თითქოს ჩიღვინაძეთა წინაპარი რაჭაში სვანეთიდან გადმოსახლდა. ფარახეთში მან მოაშენა ვაზი, საიდანაც შესანიშნავი ღვინო დააყენა. მისი სვანური გვარი იწყებოდა ჩი მარცვლით (დღეს ვეღარ იხსენებენ ამ გვარს). ამ ნაწილს გვარის წინაპარმა ვაზისა და ღვინის სიყვარულით დაუმატა სიტყვა ღვინო და ჩიღვინაძე დაირქვაო. ესე იგი, თავისი ადრინდელი გვარის ნაწილიც (ჩი) შეინარჩუნა და ახალი საქმიანობის დამახასიათებელი სიტყვაც გაურია გვარშიო. ეს თქმულება, რა თქმა უნდა, ამ გვარის ეტიმოლოგიისათვის არ გამოდგება, რადგან გვარები ასე ხელოვნურად არ იქმნება, მაგრამ იგი მიუთითებს ამ გვარის

წარმომადგენელთა საქმიანობაზე, რომ ისინი მევენახეობასა და მეღვინეობას მისდევდნენ, რასაც ვაზისა და ღვინის სახელწოდება „ჩიღვინაურიც“ ნათლად ადასტურებს.

როგორც ვხედავთ, გვარის ადრეული ფორმა იყო ჩიღვინამე, რომელიც მოგვიანებით თითქმის მთლიანად შეიცვალა ჩიღვინადით. ამიტომ ყოვლად უსაფუძვლოა ბატონ ზურაბ ჭუმბურიძის მოსაზრება, როცა იგი თავის წიგნში „რა გქვია შენ“ (1966, 1972, 1982, 1992, 2003) გვარების ეტიმოლოგიაზე საუბრისას წერს, რომ „ჩიღვინამე“ „ჩიყვიანისაგან“ წარმომდგარი ჩანსო. პატივცემულ მეცნიერს რომ ამ გვარის ძველი ფორმის (ჩიღვინამე) არსებობა სცოდნოდა, რომელიც დღესაც ფიქსირდება, ასეთ მოსაზრებას არ გამოთქვამდა. მით უმეტეს, თუ ისიც ეცოდინებოდა, რომ რაჭულ კილოში „ჩიყვის“ მაგიერ „ყიყვი“ იხმარებოდა (რაჭული დიალექტის ლექსიკონი, თბილისი, 1987 წელი, გვ 115). როგორც ვხედავთ, ყოვლად გაუმართლებელია თვალსაზრისი ჩიღვინადის ჩიყვიანისაგან წარმოშობის შესახებ. დასაბუნია ისიც, რომ ამ თვალსაზრისს ყოველგვარი შემოწმების გარეშე მრავალი წლის განმავლობაში წიგნის ყველა გამოცემაში იმეორებს მეცნიერი. როცა ჩემი მოსაზრება ვუთხარი ბატონ ზურაბს, მორიდებით მიპასუხა, რომ მე მხოლოდ ვარაუდი გამოვთქვიო.

მაგრამ მისი აზრი დამტკიცებულად ჩათვალა და გაიმეორა იაკობ ახუაშვილმა თავის წიგნში გვარების წარმოშობის შესახებ. თუმცა მის წიგნებში იმდენი უცნაური დასკვნები გვხვდება, რომ სახსენებლადაც არ ღირს.

ასევე უმართებულო მოსაზრებაა გამოთქმული ალექსანდრე ღლონტის წიგნში „ქართველური საკუთარი სახელები“, სადაც ჩიღვინამე მეტსახელ „ჩიხვინადან“ მიღებულად ივარაუდება. ყველა ზემოთ ჩამოთვლილ ავტორს თავიანთი ვარაუდი გამოთქმული აქვთ ზერელე დაკვირვებით ისე, რომ გვარის ადრინდელი ფორმის შესახებ არაფერი იციან (ამის შესახებ მითხრა კიდევაც ბატონმა ზურაბ ჭუმბურიძემ). ამიტომაც მათი ვარაუდები მცდარი. ისინი არც იმას ითვალისწინებენ, რომ დასავლეთ საქართველოში, კერძოდ, რაჭა-იმერეთში დამამცირებელი მეტსახელიდან ნაწარმოები გვარები თითქმის არ გვხვდება. როგორც ჩანს, გვარის პირველადი ფორმა ჩიღვინამე წარმოიქმნა მეტსახელ „ჩიღვინა“-დან (საყურადღებოა, რომ კნინობითი ნაწილაკი უნა მეტად დამახასიათებელია რაჭული კილოსათვის) შემდეგ კი ვაზისა და ღვინის სახელწოდება ჩიღვინაურის გავლენით „ჩიღვინამე“ გადაიქცა „ჩიღვინამედ“.

ფარახეთი

რადგან სოფელი ფარახეთი ჩიღვინამეების ბუდე სოფლად ითვლება, მასზე შედარებით ვართო მომაცემებს წარმოგიგენტ. ფარახეთი მდებარეობს ონის მუნიციპალიტეტში, არის ამავე სახელწოდების თემის ცენტრი, რომლებშიც შედიან სოფლები: ფარახეთი, ახალი ჩორდი, სევა, შარდომეთი, ჭიბრევი. განთვსებულია რაჭის ქედის ჩრდილოეთ კალთზე. ონიდან 13 კილომეტრში, ზღვის დონიდან 920 მეტრის სიმაღლეზე. 1899 წლის აღწერის მონაცემებით სოფელში ცხოვრობდა 1010 ადამიანი (Кавказский календарь на 1899 годъ, Тбилиси, 1898 г.). 2002 წლის აღწერის მონაცემებით ცხოვრობდა 105 კაცი, 2014 წლის აღწერით ცხოვრობს 49 კაცი. როგორც ყველაგან, აქაც საგანგაშო ვითარებაა მოსახლეობის კლების გამო, თუმცა ეს სხვა საუბრის თემაა.

ფარახეთის ქვედა ნაწილშია ჩიღვინამეების უბანი, აქ ჩვენი გვარის 14 ოჯახი ნაცხოვრება, სახლები შემორჩენილია, მხოლოდ მუდმივად ახლა იქ ჩიღვინამეების მხოლოდ 3 ოჯახიღა ცხოვრობს.

სწორედ ფარახეთის ქვედა უბანშია მთავარანგელოზთა ეკლესია. მას გიორგი ბოჭორიძე XVII საუკუნის ძეგლად მიიჩნევს, რენე შმერლინგი X-XI საუკუნისად. ბოლო თვალსაზრისით XVI

საუკუნეში აშენებულად თვლიან (იუზა ხუსკივამე, ქართულ ეკლესიათა გვიანი საუკუნეების „ხალხური“ მოხატულობანი). ამ ეკლესიას განსაკუთრებული მხატვრობა ახლდა. მთავარი ყურადღება მთავარანგელოზების გამოსახულებებზე იყო შეჩერებული. სამხრეთ-აღმოსავლეთ კამარაზე ერთი, მიქაელ მთავარანგელოზი გამოესახათ, ხოლო მის მოპირდაპირედ - გაბრიელ და სორიელ მთავარანგელოზები. ტრადიციულად ჩვენს ეკლესიებში ორ მთავარანგელოზს გამოსახავდნენ, აქ კი სამი იყო, რაც განსაკუთრებულ მოვლენად მიიჩნევა. ჩრდილო კედელზე უჩვეულოდ დიდი წმინდა გიორგი ფიგურირებდა...

ცნობილი ხელოვნებამცოდნე რენე შმერლინგი ასე აგვიწერს ფარახეთის მთავარანგელოზთა ეკლესიას: „ამ ეკლესიისაკენ სოფლის მყუდრო ქუჩას მივყავართ, რომლის მომფარგვლელ წნელის ღობეებს მიღმა, ხეხილის ბაღებში ილანდება ხის სახლების გამუქებული კედლები და აივნების ჭვირული ჩუქურთმები. კარმიდამოების თავზე, სერის გავაკებულ ადგილზე, პატარა სასაფლაოს შუაგულში, თეთრად შვეთქილი პაწია ეკლესია დგას, ჩრდილოეთის კედლით რიონის ხეობისკენ მიქცეული, დასავლეთით მურეხანას ხევისკენ, სამხრეთით კი სოფელ ფარახეთის მთის ფერდობებზე გაბნეული ნაკვეთებისკენ. მდელის აღმოსავლეთ კიდეზე ხედს მუქი ბზის ხშირი ტევრი ფარავს“ (რენე შმერლინგი, ფარახეთი, საქართველოს სიძველენი, N 1, 2002 წელი)...

ეკლესია ქვის ფილებითაა ყოფილა ნაგები, კუთხეებზე, შესასვლელსა და სარკმელთა თავსართებზე ტუფი გამოუყენებიათ. ბათქაშით გალესილი კედლები მეორედაც, ეკლესიის შეკეთება-მოხატვისას შეუღესავთ...

რენე შმერლინგი ეკლესიას სხვადასხვა სამშენებლო ნიშნების გამო X-XI საუკუნეების ნაგებობად მიიჩნევს, ხოლო მხატვრობას, რომელიც მთლიანად ფარავდა ნაგებობის კედლებსა და კამარებს XV-XVI საუკუნეების მიჯნით და XVI საუკუნის დასაწყისით ათარილებს. მისი აზრით, ფარახეთის მთავარანგელოზთა ეკლესიის მხატვრობა, მოგვიანო, „ხალხური“ ნიმუშებით იქცევს ყურადღებას.

ეკლესიის საკურთხეველში ვედრების კომპოზიცია და მღვდელმთავრებია გამოსახული. წმინდა რომანოზსა და წმინდა იოანე ოქროპირს შორის მხატვარს ადგილობრივი კტიტორების, მათ შორის, პირველ რიგში ჩიღვინაძეების, წარწერები მოუთავსებია, ზოგი საკტიტორო წარწერა საკურთხეველის სარკმლის ქვეშაა, ზოგიც სხვაგან. მთავარი კტიტორი, ადგილობრივი აზნაური სუმბატ არეშიძე ნახატითაა წარმოდგენილი („სუმბატ არეშიძეს შეუნდოს ღმერთმან, ამინ“). ეს მხატვრობა გამოირჩევა საუფლო დღესასწაულთა აღწერის არქონით (მხოლოდ ერთი სცენა - ვედრება - არსებობს), წმინდანთა, განსაკუთრებით წმინდა დედათა სიჭარბით და ორი კი არა, სამი მთავარანგელოზის გამოსახვით.

ფარახეთის მთავარანგელოზთა ეკლესია 1991 წლის მიწისძვრის დროს დაინგრა. 2000 წელს მის ადგილზე ახალი ეკლესია აშენდა (კტიტორი ვალენტინა მიხეილის ასული ბაქრაძე), იგივე ზომის, მხოლოდ ძველი მხატვრობა და ნაგებობის განსაკუთრებული ნიშნები აღარ არსებობს. ძალიან მნიშვნელოვანია, რომ ფარახეთის მთავარანგელოზთა ეკლესია, თითქმის სრულად იყო გამოკვლეული და მისი მხატვრობის ფოტოები არსებობს.

ამ ეკლესიის გვერდით, შესასვლელიდან მარჯვნივ და უკანაა ჩიღვინაძეების საგვარეულო საფლავები...

ფარახეთის მთავარანგელოზთა ეკლესიის მღვდლები სხვადასხვა წლებში იყვნენ:

მაგრაქველიძე სვიმონ მამუკას ძე - 1792-(1841)

ჯაფარიძე გიორგი შიოს ძე - 1845-1863

ჯაფარიძე პეტრე გრიგოლის (გიორგის) ძე - 1863-1891

გრძელიშვილი მარკოზ გრიგოლის ძე - 1866-1867

გავაშელიშვილი სპირიდონ პეტრეს ძე - 1892 - 1908

სალუქვაძე გიორგი ოტას ძე - 1909-1917

(მერაბ კეზევაძე, ეგზარქოსობისდროინდელი რაჭის ეკლესიები და მღვდლები, 2005 წელი) 1948 წლის ცნობით ფარახელ მესტირეთა შორის მოხსენიებული არიან ჩილუნაძე სოსო და ჩილუნაძე გიორგი, რომლებიც ამ დროს გარდაცვლილები იყვნენ (აპოლონ ცანავა, ქართული მესტირული პოეზია, 1953 წ., გვ. 194). ფარახეთში მცხოვრები ჩილუნაძეების უმეტესობა ჯრუჭის მონასტერს ემსახურებოდა, ანუ საეკლესიო გლეხები იყვნენ, ბატონი არ ჰყავდათ და თითქმის თავისუფალნი განაგებდნენ თავიანთ მეურნეობას. თუმცა იყვნენ ისეთებიც, რომლებიც ბატონებზე იყვნენ.

1860 წელს ჯრუჭის მონასტრის არქიმანდრიტი ბესარიონი სწერს რაჭის მაზრის უფროსს თავად ერისთავს, უწერის ნაწილის სოფელ ფარახეთის მცხოვრებ ჯრუჭის მონასტრის ყმას გოგინა (ასე უნდა იკითხებოდეს) ჩილუნაძეს ჰქონია ადგილ-მამული და მოსახლეობა ხოტევის უჩასტკის სოფელ სხვაგვარად იწოდებათ წელზე მეტხანს, როგორც თავის სამკვიდრო, საიდანაც აუყრია სოფელ კრიხის მცხოვრებ აზნაურს ფრიდონა ხეიძეს და წაურთმევია ყოველგვარი ქონება. ამ შემთხვევაზე საქმე დაუწყიათ უწმინდესი სინოდის კანტორაში და თქვენს კანცელარიაშიც უნდა იყოს ეს საქმეო, - მიმართავს არქიმანდრიტი მაზრის უფროსს, - მაგრამ როგორც ჩილუნაძე ამბობს, ამ საქმეს მსვლელობა არ ეძლევა იმ ხეიძის მეცადინეობით, რომელსაც ძმა ივანე ხეიძე ჰყავს სამსახურშიო. არქიმანდრიტი სთხოვს მაზრის უფროსს, მიეცეს ამ საქმეს მსვლელობა და არ მოაკლდეს მონასტრის ყმას მართმსაჯულება და არ იქნეს დაჩაგრული იმ ხეიძის შეძლებითა და მოხერხებითო (საქართველოს ეროვნული არქივი, ფონდი 1449, საქმე 1383).

როგორც აღინიშნა, ფარახეთში მცხოვრები ჩილუნაძეები ჯრუჭის მონასტერს ეკუთვნოდნენ. მანამდე ისინი დავით მღვდელს (წერეთელს) ემორჩილებოდნენ და მისი სიკვდილის შემდეგ მიაკუთვნეს ჯრუჭის მონასტერს. XIX საუკუნის 40-იან წლებში ერთი მათგანი, სვიმონ მახარას ძე ჩილუნაძე, უშუალოდ ჯრუჭის მონასტრის არქიმანდრიტს, შემდეგში ჭყონდიდელისა და იმერეთის ეპისკოპოსის დავით მიტროპოლიტს (წერეთელს) ემსახურებოდა (ქცა, ფონდი N 21, საქმე 2034). დავით ხუცესი (წერეთელი) მეტად პატივსაცემი პიროვნება გახლდათ იმდროინდელ იმერეთში. ხოლო დავით მიტროპოლიტი მეტად სახელგანთქმული მღვდელმთავარი იყო და მთელი მეცხრამეტე საუკუნის პირველ ნახევრის მანძილზე დიდ ანგარიშს უწევდნენ არა მარტო იმერეთში, არამედ მთელ საქართველოში. ის თავისი დროის გამოჩენილი მოღვაწე იყო და დიდი კვალი დააჩნია იმდროინდელ დასავლეთ საქართველოს. დავით მიტროპოლიტმა არა მარტო იმერეთისა და სამეგრელოს მრავალი ეკლესია-მონასტერი შეაკეთა და აღორძინა, არა მარტო ჯრუჭის მონასტერი აქცია დიდ საეკლესიო, კულტურულ და მწიგნობრობის კერად, არამედ მისი მიმდებარე სოფლების თავიდან დასახლებასა და აღორძინებაშიც მიიღო მონაწილეობა.

1841 წელს ფარახეთის მთავარანგელოზთა ეკლესიის აღსარების მთქმელთა სიაში ჩაწერილნი არიან საეკლესიო გლეხები:

- ბერიკა გლახუნას ძე ჩილუნაძე - 52 წლის.
- ცოლი მისი თინია გლახუნას ასული - 47 წლის.
- შვილნი მათნი: ა) ბასილა - 31 წლის.
- ცოლი ბასილასი მარიკა გოგიტას ასული - 32 წლის.
- ბ) ვანია - 25 წლის.
- ცოლი ვანიასი დაჯია დავითის ასული - 17 წლის.
- გ) სისია - 22 წლის.
- დ) ზურაბ - 15 წლის.
- ე) გრიგოლ - 10 წლის.

სვიმონ მახარას ძე ჩილუნაძე - 52 წლის.
ცოლი მისი თინია პაატას ასული - 55 წლის.

შვილნი მათნი:

წყალობა - 18 წლის.

კიკოლა - 16 წლის.

ადამა - 10 წლის.

ფილიპე - 6 წლის.

გოგინა მახარას ძე ჩილუნაძე - 62 წლის.

ცოლი მისი მანუკა დავითის ასული - 57 წლის.

ძე ამათი ბერი - 32 წლის.

ცოლი მისი სალომე სესიკას ასული - 22 წლის.

ძმა გოგინასი შოშია - 47 წლის.

ცოლი მისი მარუკა - სვიმონის ასული - 40 წლის.

ბიძაშვილი გოგინასი კაცია პაპუნას ძე - 42 წლის.

ცოლი მისი ტასია ნინიას ასული - 40 წლის.

შვილი მათი ფეფენა - 14 წლის.

სვიმონ ბერის ძე ჩილუნაძე - 52 წლის.

ცოლი მისი თინია - 45 წლის.

შვილი მათი მელანია - 14 წლის.

ბიძაშვილი სვიმონის იორდანე ბუჭუას ძე - 32 წლის.

ცოლი მისი თამარა კაცუნას ასული - 34 წლის.

ძე ამათი ფრიდონ - 3 წლის.

ძმა იორდანესი ადამა - 13 წლის.

იოსებ რამაზას ძე ჩილუნაძე - 45 წლის.

ცოლი მისი მარიამ დავითის ასული - 42 წლის.

შვილი მათი ტასია - 18 წლის.

ხათუნა - 14 წლის.

ძმა იოსების ოთარა - 37 წლის.

ცოლი მისი დაჯია სეხნია ასული - 33 წლის.

შვილი მათი ელისაბედ - 13 წლის.

საბატონო გლეხი:

ღვთისია შოშიკას ძე ჩილუნაძე - 52 წლის.

ცოლი მისი თამარ გლახუას ასული - 43 წლის.

შვილნი მათნი ვოფია (?) - 15 წლის.

გიორგი - 14 წლის.

(ქუთაისის ცენტრალური არქივი, ფონდი N 21, საქმე 2034).

1873 წლის დროებით ვალდებულ და სახაზინო აღწერის მიხედვით ფარახეთში სახელდებიან:

ჩილუნაძე ბასილა - ოჯახის შემადგენლობა - 11 მამაკაცი, 11 ქალი. საკარმიდამო 450 კვ. საჟენი, ვენახი 1 ქცევა და 450 კვ. საჟენი, სახნავი 10 ქცევა.

ჩილუნაძე გიორგი - ოჯახის შემადგენლობა - 5 მამაკაცი, 2 ქალი. საკარმიდამო 456 კვ. საჟენი, ვენახი 1 ქცევა და 450 კვ. საჟენი, სახნავი 4 ქცევა, 250 კვ. საჟენი.

ჩილუნაძე ბერუა - ოჯახის შემადგენლობა - 5 მამაკაცი, 3 ქალი. საკარმიდამო 300 კვ. საჟენი, ვენახი 1 ქცევა, სახნავ-სათიბი - 5 ქცევა, 450 კვ. საჟენი.

ჩილუნაძე გიგო - ოჯახის შემადგენლობა - 4 მამაკაცი, 5 ქალი. საკარმიდამო 320 კვ. საჟენი, ვენახი 1 ქცევა და 300 კვ. საჟენი, სახნავ-სათიბი 7 ქცევა, 75 კვ. საჟენი.

ჩილუნაძე თევდორე - ოჯახის შემადგენლობა - 1 მამაკაცი, 5 ქალი. საკარმიდამო 751 კვ. საჟენი, ვენახი 225 კვ. საჟენი, სახნავ-სათიბი - 5 ეკევა, 300 კვ. საჟენი (ქუთაისის ცენტრალური არქივი, ფონდი N 8, ანაწერი 1, საქმე 826, 818 ა).

შარდომეთელი ჩილუნაძეები

შარდომეთი მდებარეობს ონის მუნიციპალიტეტში, ფარახეთის თემში, 2014 წლის აღწერით სოფელში ცხოვრობს 36 ადამიანი.

1841 წლის შარდომეთის წმინდა გიორგის ეკლესიის აღსარების მთქმელთა სიაში იხსენიებიან: ბუჭუა ოთიკას ძე ჩილუნაძე, ცოლი მისი თინიკა სვიმონის ასული და მათი შვილები - ქრისტესა. დავითი, ვანია და თამარი (ქუთაისის ცენტრალური არქივი, ფონდი N 21, საქმე 2034).

1873 წლის აღწერის მიხედვით შარდომეთში სახელდებიან:

ჩილუნაძე მარკოზ - ოჯახის შემადგენლობა - 2 მამაკაცი, 3 ქალი. ჩილუნაძე ზაქარია - ოჯახის შემადგენლობა - 1 მამაკაცი. ჩილუნაძე დავითის ქალიშვილი ზეხათუნი - ოჯახის შემადგენლობა - 1 ქალი. ჩილუნაძე სიმონ - ოჯახის შემადგენლობა - 1 მამაკაცი, 3 ქალი. ჩილუნაძე გრიგოლ - ოჯახის შემადგენლობა - 4 მამაკაცი, 2 ქალი (ქუთაისის ცენტრალური არქივი, ფონდი N 8, ანაწერი 1, საქმე 818 ა).

ამჟამად შარდომეთში ჩვენი გვარიდან ერთი, მამა დავითის (ჩილუნაძის), ოჯახი ცხოვრობს.

მოხველი ჩილუნაძეები

სოფელი მოხვა მდებარეობს საჩხერის რაიონში, ჩრდილო-დასავლეთით, რაიონის ცენტრიდან 15 კილომეტრის დაშორებით, რაჭის ქედის სამხრეთ ფერდობზე, მდინარეების მოხვურისა და ხერთულის ხეობაში, ზღვის დონიდან 820 მეტრზე. სოფელი ყველა მხრიდან მაღალი ქედებითაა შემოზღუდული. შუაში ჩამოუდის პატარა მდინარე მოხურა. მოხვის სამხრეთ-დასავლეთით მიედინება მდინარე ხერთულა. მოხვის გარშემო მდებარე ქედები მუხის, წიფლის, რცხილის და სხვა ჯიშის ხეების ტყითაა დაფარული. სოფლის ჩრდილო-დასავლეთით, რაჭის ქედის ალპურ სათიბებამდე ვრცელი წიფლის ტყეებია გადაშლილი. სოფლის ახლოს, რაჭის ქედის სამხრეთი ფერდობის ძირას, უდაბურ წიფლის ტყეში ზღვის დონიდან 1370 მეტრზე მდებარეობს ულამაზესი დევის ტბა. გადმოცემით ადრე ტბაში ძალიან დიდი ზომის კალმახები (თუ ორაგულები) ყოფილა. სოფლის ჩრდილო-აღმოსავლეთით, სოფლის სამოვრებზე ჩამოდის მდინარე ფასკნარა, რომელიც რაჭის ქედის ძირას ველტყევის ნამონასტრალის აღმოსავლეთით იღებს სათავეს.

მოხვის აღმოსავლეთით, 5 კილომეტრში მდებარეობს ჯრუჭის წმინდა გიორგის მონასტერი. მეთვრამეტე საუკუნის პირველ ნახევარში ჯრუჭულის ხეობაში წარმოებულ ბრძოლებში, რომლებიც მიმდინარეობდა რაჭის ერისთავ როსტომსა და თავად წერეთლებს შორის, აქაური სოფლები ნასოფლარებად იქცა. ნასოფლარებად ქცეული მოხვა და ხეთა წერეთელ პაპუნას, ზურაბსა და ბერს ჯრუჭის მონასტრისათვის შეუწირავთ. სწორედ ჯრუჭის მონასტრის ძალისხმევით მოხდა შემდეგ მოხვის აღორძინება. მონასტერი იქ ასახლებდა თავის კუთვნილ გლეხებს.

XIX საუკუნის ბოლოს მოხვაში 678 ადამიანი ცხოვრობდა, დღევანდელზე ბევრად მეტი (თუმცა ამ რიცხვში უზუნთის, ცხომარეთისა და ყვიჩორის მოსახლეობაც უნდა ვიგულისხმოდ).

შედარებისათვის, სარეკში ამ დროს 1002 ადამიანი ცხოვრობდა, ბაჯითში - 640, საჩხერეში - 1595, მათ შორის 447 ქართველი, 872 ებრაელი და 276 სომეხი (Кавказский календарь на 1899

годъ, Тбилиси, 1898 г.). 2002 წლის აღწერით სოფელში 486 კაცი ცხოვრობდა, ხოლო 2014 წლის მონაცემებით - 271. მუდმივად დღეს მოხვაში ჩიღვინაძეების 3 ოჯახია.

იმერეთის უკიდურეს ჩრდილოეთ ნაწილში, თითქმის რაჭის ქედის ძირას მდებარე ჯრუჭის მონასტერს გლეხები იმერეთისა და რაჭის რამდენიმე სოფელში ჰყავდა. როგორც აღვნიშნეთ, მათ შორის რაჭის სოფელ ფარახეთში ეკუთვნოდა ოთხი გლეხი ჩიღვინაძეები (ჩიღუნაძეები).

მომავალში მათი შთამომავალი ფრიდონ ჩიღვინაძე, რომელიც ჯრუჭის მონასტერში მსახურობდა, დაახლოებით 1855 წელს მოხვაში დაასახლეს, იქ მაჩაიძის ქალი, მელანო შეირთო.

მელანოს და ფრიდონის შეხვედრაზე ჩვენთან ასეთი გადმოცემა არსებობს: ჯრუჭის არქიმანდრიტი და მისი თანმხლები პირები, მათ შორის ახალგაზრდა ვაჟკაცი ფრიდონი, რაჭაში მიემგზავრებოდნენ. გზად მოხვაში გაუვლიათ და დღევანდელი ჩიღვინაძეების წყაროსთან წაბლის ჩრდილში დაუსვენებიათ. ამ დროს მაჩაიძის ასული მელანო წყაროზე ყოფილა.

ყურადღებიან ქალიშვილს დოქითა და თიხის ფიალით ცივი წყალი მიუერთმეცია არქიმანდრიტისათვის. არქიმანდრიტს ახალგაზრდა ასული დაულოცავს და წყალი დაუღევია. შემდეგ მის თანმხლებ პირებსაც გაუგრილებიათ გული, ხოლო ფრიდონს გულიც და თვალიც მაჩაიძის ქალიშვილზე დარჩენია. გამჭრიახ წინამძღვარს შეუნიშნავს ჩიღვინაძის ღელვა და ჩუმად უკითხავს:

- რა იყო, ფრიდონ, ხომ არ მოგეწონა ეს გოგო?

- ეჰ, რა დაგიმალეთ, მამაო და, მომეწონაო!..

- ჰოდა, თუ მოგეწონა, ვეცადოთ საქმესო, - დაუიმედებია ღიმილით წინამძღვარს.

სულ მალე მონასტერში დაუბარებიათ მელანოს მამა. მას ვაჟი არ ჰყოლია და შეუთავაზებია არქიმანდრიტს, აგერ კარგი ვაჟკაცი გვყავს, თან თქვენი მხრისაა, მეზობელი სოფლებიდან მოდიხართ, ამ ვაჟს დიდ მამულებს ვჭუქნით ჯრუჭის გვერდში და მოსალოცავზე, შევაუღლოთ ეს ახალგაზრდები და იცხოვრონ ბედნიერადო. სიხარულით დათანხმებია მაჩაიძე არქიმანდრიტს და მალე ფრიდონს და მელანოს ჯვარი დაუწერიათ. ჯრუჭის მონასტრის არქიმანდრიტის კეთილმა ჩანაფიქრმა კარგი შედეგი გამოიღო, შვიდი შვილი - ოთხი ვაჟი და სამი ქალი - გაზარდეს ფრიდონმა და მელანომ... ასე გავჩნდით მოხვაში ჩიღვინაძეები.

უფრო ადრე ფარახეთიდან ჯრუჭში გადასული ფრიდონი ცხენების რემას უვლიდა თურმე სხვა რამდენიმე ახალგაზრდასთან ერთად და თან იქვე განათლებასაც ღებულობდა... მონასტერში ძალიან სიმკაცრე ყოფილა, ამა თუ იმ საქმეზე მიჩენილი ბერები, თუ ახალგაზრდებს ურჩობას შეატყობდნენ, სჯიდნენ. ფრიდონს რაჭაში, სოფელ ბაჯიხევში, შეყვარებული ჰყოლია, რომ დაღამდებოდა, გამოიყვანდა მონასტრის თავლიდან წერეთლების განთქმული ჯიშის, საუკეთესო ცხენს, მოახტებოდა ზედ, გადაივლიდა მთებს და ნახავდა სატრფოს. გათენებამდე ისევ უკან ბრუნდებოდა და დილით ისე დგებოდა, თითქოს მონასტრის ეზოს არ გაცილებულიყო. ერთ ბერს ცხენისთვის ოფლი და ნამგზავრობა შეუნიშნავს რამდენჯერმე, დაუძახნია ფრიდონისთვის და უთქვამს, სადღაც დადიხარ ღამ-ღამობით, მითხარი სიმართლე, თორემ ვეტყვი წინამძღვარს და მკაცრად დაგსჯისო. ფრიდონს სიმართლე უღიარებია, შეყვარებული მყავს რაჭაში და იქ გადავდივარ ხოლმეო. გაკვირვებია ბერს, ამხელა მანძილზე როგორ დადიხარ, ან ძილი არ გინდა, ან მოსვენება, ან მეორე დღეს როგორღა მუშაობო?... რა ვქნა, სხვაგვარად არ შემიძლიაო, უთქვამს ფრიდონს. კარგი, არ ვეტყვი წინამძღვარს არაფერს, ოღონდ ან მოემვი მაგ სიარულს ან ჯვარი დაიწერე დროზე იმ გოგოზეო. როგორ წავიდა ფრიდონის ადრეული სიყვარულის ამბავი, ადარ ვიცი... ის კი გითხარით, რომ ჩემი დიდი ბებია არა რაჭველი ბაჯიხველი ქალი, არამედ მოხველი მაჩაიძის ქალი მელანია იყო...

მოგვიანებით ფრიდონი სამონასტრო ფერმის გამგე ყოფილა. ფერმა ზამთარ-ზაფხულ მთაში ჰყოლიათ, ხიხამთის ან კეცების მთის ძირას. ზამთრისთვის მონასტრის კუთვნილ რაჭველ გლეხებს თივა ჩამოჰქონდათ ფერმის გამოზამთრების ადგილას, მწყემსები სურსათითაც მომარაგებულები იყვნენ და მთაში, დიდი თოვლის გარემოცვაში ატარებდნენ დროს.

ერთ ზამთარს, როდესაც ფრიდონის მეორე ვაჟი, გიორგი (ბაბუაჩემი) გაჩენილა მოხვაში, მამამისი მაშინაც თავის ფერმასთან ერთად, კეცების მთის ძირას, წყალფენილას სათავეში ყოფილა. წელამდე თოვლი იდო თურმე მოხვაში, მთაში კი მეტი იქნებოდა. მელანოს ბიძაშვილს, ალექსი მაჩაიძეს უთქვამს, გამომიციხვეთ ნიგვზიანი პურები, ჩამიღებთ კვარტიანი (ბოთლნახევრიანი) არაყი, სხვა საჭმელიც და წავალ, ვახარებ ფრიდონს მეორე ვაჟის შეძენასო. მართლაც წასულა ერთ დღილას. მოხვიდან იმ ადგილამდე 10-მდე კილომეტრია, მთელი დღე უკვლევეია თოვლი ალექსის და რომ მოსალამოვებულა, მიახლოებია მწყემსების კარვებს, მაგრამ სიარული აღარ შეეძლო თურმე და უსვრია თავისი ფილთა თოფი. ფერმაში გაუგიათ თოფის ხმა. რაღაც ამბავია, ვიღაც მოდისო, უთქვამს ფრიდონს და ბიჭები გაუგზავნია მომავლის შესახვედრად, მიეხმარეთ ამოიყვანეთო. მართლაც ჩამოსულან მწყემსები და შერჩენიათ არაქათგამოცლილი ალექსი ხელში, შედგომიან მხრებში და აუყვანიათ ფერმაში. მიახლოებია ალექსი ფრიდონს, გაუმართავს თავისი ფილთა თოფი და მიუწოდებია, ისროლე, ბიჭი შეგეძინაო. ბიჭი თუ შეგეძინა შენი ფილთა თოფი რად მინდაო, გახარებია ფრიდონს. გამოუტანია წერეთლის ნაჩუქარი კარაბინი და მთელი ჯერი მიუყრია ხიხამთის კლდეებისათვის. მერე შეუყვანია მახარობელი კარგად მოწყობილ ბინაში, დაუკლავთ საკლავი, მოუხდია იქ საგანგებოდ ჩადგმული ჭური, ამოუღია რაჭიდან გადმოტანილი ჩიღვინაურის თუ ჯრუჭის მონასტრის მამულში მოყვანილი იმერული ღვინო და იმ ზამთრის თოვლიან ღამეს გვიანობამდე უქეიფნიათ...

ფრიდონი ძალიან ყოფილა დაახლოებული თავად წერეთლებთან, რომლებიც მეტად აფასებდნენ თურმე მოხერხებულ ახალგაზრდას. ერთხანს იგი გიორგი წერეთლის მოურავი ყოფილა საჩხერეში. თავის ცხენით თავადის სასახლის კიბეზე ადიოდა თურმე და ალტაცებაში მოჰყავდა მაყურებლები. ერთხელ თავადს საგანგებოდ შერჩეული ძროხა გამოუყვანია ეზოში ნადიმისთვის დასაკლავად და ახლომყოფთათვის უთქვამს, ვინც ამ ძროხას ხმლის ერთი დარტყმით თავს მოჭრის, კარგ საჩუქარს მიიღებსო. ფრიდონი გამომდგარა ყველაზე გაბედული, მიახლოებია ვაშლის ხეზე დაბმულ ძროხას, ფერდში წაუკრავს ხმლის წვერი და როდესაც უკან დაწეულ ცხოველს კისერი დაუჭიმავს, მაშინ მოუქნევია ხმალი და მართლაც ქათამივით წაუცლია თავი. საერთო ჟრიამულში ფრიდონს საჩუქარი, ახალი თოფი ჩამოურთმევია თავადისთვის. წერეთლებს ფრიდონისათვის კარგი სამსახურისთვის ჯრუჭის მონასტრის მიწების ნაწილიდან საუკეთესო ადგილები მიუციათ. ესენი ყოფილან ჯუჭის ახლო ფერდობი, რომელსაც „ჯრუჭიგვერდს“ ვეძახით, მოსალოცავის საუკეთესო მიწები, სადაც ახლა უზუნთელი მაჩაიძეები ცხოვრობენ და მოხვის ადგილები, სადაც დღესაც რამდენიმე ადგილას სახელდება „ჩილუნაძის ყანა“, „ჩილუნაძის ნაკაფი“ და სხვა...

ქუთაისის გუბერნიის შოროპნის მაზრის, სოფელ მოხვის დროებითვალდებულ გლეხთა აღწერით 1873 წელს ჩიღვინაძე ფრიდონის ოჯახი შედგებოდა 4 მამაკაცისა და 4 ქალისაგან. საკარმიდამო - 125 კვ. საყენი, ვენახი - 1 ქცევა და 50 კვ. საყენი, სახნავ-სათიბი - 4 ქცევა და 605 კვ. საყენი. ეკისრა სახელმწიფო, საბატონო და საერო გადასახადები - 23 ბათმანი პური, 7 კოკა ღვინო, 1 ბათმანი კაკალი, 9 მანეთი და 5 კაპიკი (ქუთაისის ცენტრალური არქივი. ფონდი N8, ან.1, საქმე N832, ფ. 6).

ჩიღვინაძეებს დიდი ადგილი გვექონია მოხვის ახლოს, ხერთაშიც. ამას ადასტურებს ახლახანს აღმოჩენილი 1912 წლის საბუთი, რომლის მიხედვით ამბაკო ფრიდონის ძე ჩილუნაძე თავის სახნავს ჰყიდის იაგორა ბეჟანის ძე კუჭაშვილზე, საბუთში ნახსენებია ამ სახნავის მოსაზღვრე ჩილუნაძეების საერთო და ცალკე ბესარიონ ჩილუნაძის ადგილი ყველა „სამქორებო გორის“ ახლოს.

ფრიდონი ცხოვრებაში ყოველმხრივ მოწესრიგებული, როგორც მაშინ იტყოდნენ, „ჭკუის საკითხავი კაცი“ იყო. სახლში ცალკე ოთახი ჰქონოდა გამოყოფილი და შვილთა და რძალთა საერთო პატივისცემით იყო მოცული. ჩიღვინაძეებს მოხვაში თავი სხვებზე მეტად ეჭირათ, როგორც თავადებთან დაახლოებული გვარის წარმომადგენლებს.

ფრიდონს შვიდი შვილიდან ორმოცამდე შვილიშვილი ჰყავდა...

სამთისელი ჩიღვინაძეები

სამთისი მდებარეობს ონის მუნიციპალიტეტის ბარის თემში, რაჭის ქედის ჩრდილოეთ კალთაზე, ზღვის დონიდან 1000 მეტრზე. ონიდან დაშორებულია 25 კილომეტრით. 2014 წლის აღწერის მიხედვით სოფელში ცოვრობს 8 ადამიანი. ჩვენი გვარის აღარავინაა.

1873 წლის აღწერის მიხედვით სამთისის დროებით ვალდებულ და სახაზინო გლეხებს შორის სახელდება:

ჩილუნაძე დავითი (ოჯახის შემადგენლობა - 3 მამაკაცი, 5 ქალი), ჩილუნაძე საჩინო (ოჯახის შემადგენლობა - 1 მამაკაცი, 1 ქალი), ჩილუნაძე ფრიდონ (ოჯახის შემადგენლობა - 1 მამაკაცი, 2 ქალი) და ჩილუნაძე იოაკიმ (ტატუა), (ოჯახის შემადგენლობა - 2 მამაკაცი, 3 ქალი) (ქუთაისის ცენტრალური არქივი. ფონდი N8, ანაწერი 1, N826, 818ა).

სხვაველი ჩიღვინაძეები

სხვავეში 1841 წლის აღსარების მთქმელთა ნუსხაში სახელდება საეკლესიო (ჯრუჭის მონასტრის) გლეხი დავით გიორგის ძე ჩიღვინაძე, ცოლი მისი თინია გიორგის ასული. შვილები მათი: სოფრომ, გიორგი და ლევანი (ქვა, ფონდი N21, საქმე N2034).

მოგვიანებით, 1873 წელს, ლევანს ვხვდებით ამავე სოფლის დროებით ვალდებულ გლეხებს შორის: ჩილუნაძე ლევანი (ოჯახის შემადგენლობა - 4 მამაკაცი, 2 ქალი) (ქვა, ფონდი N8, ანაწერი 1, N826).

გარდა ზემოთ დასახელებული სოფლებისა ჩიღვინაძე გვხვდება სოფელ პატარა ონში: ივანე ნინიას ძე ჩიღვინაძე, ცოლი მისი თინია ბერის ასული და გერი ივანესი ეკატერინე (ქვა, ფონდი N21, საქმე N2034). 1873 წლის სახაზინო გლეხების კამერალურ აღწერაში მხოლოდ ივანეს ქვრივი სახელდება, თვით ივანე ცოცხალი აღარაა და, როგორც ჩანს, არც ვაჟი დარჩენია.

ჩიღვინაძე ერმანა სახელდება ძირაგეულში. მისი ოჯახის შემადგენლობაა 2 კაცი და 1 ქალი. კვაცხუთში ჩილუნაძე გოგისა სახელდება (ოჯახის შემადგენლობაა 3 კაცი და 2 ქალი) (ქვა, ფონდი N8, ანაწერი 1, N817).

ავთანდილ სილაგაძისა და ანზორ თოთაძის წიგნში მიხედვით „გვარ-სახელები საქართველოში“ (თბილისი, 1997 წელი), ჩვენი გვარი შემდეგნაირადაა წარმოდგენილი: ჩიღვინაძე წერია 149 ადამიანი (მათ შორის თბილისში ცხოვრობს 100, ონში - 15, ამბროლაურში - 9, დანარჩენი სხვაგან), ჩიღვინიძე წერია 29 ადამიანი (თბილისი - 17, ონი - 6, ქობულეთი - 2), ჩილუნაძე წერია 89 ადამიანი (თბილისი - 40, ქუთაისი - 12, საჩხერე - 11).

დღეისათვის ჩვენი გვარის წარმომადგენლები სხვადასხვა ფორმით (ჩიღვინაძე ჩილუნაძე, ჩიღვინიძე, ჩიგუნაძე) სულ ვართ 275. თბილისში - 173, რუსთავში - 30, ონში - 15. ქუთაისში - 13. ჭიათურში - 14. საჩხერეში - 9. ამბროლაურში - 5 და სხვა...

ჩვენი გვარის უახლოესი ამოცანებია: 1. გვარის გამრავლება, 2. საგვარეულო ვაზის ჯიშის „ჩიღვინაურის“ მოშენება (მას ჯერჯერობით ამრავლებენ თამაზ ჩილუნაძე ხიმში და მამა დავითი (ჩიღვინაძე) შარდომეთში, 3. სოფლებში ჩვენი კარ-მიდამოებისა მოვლა, 4. მეურნეობის აღორძინება, 5. მიწების დამუშავება, 6. ჯრუჭის მონასტრის აღენაში მონაწილეობის მიღება, 7. ხიხამთაზე წინაპრების სათიბების დაბრუნება...

ეს არის ჩიღვინაძეების გვარის ისტორიის მოკლე ვარიანტი, რომელიც ინტერნეტგვერდისთვის www.gvarebi.ge საგანგებოდ მომზადდა. მალე დაემატება ფარახეთის, შარდომეთის, მოხვის, სამთისის ეკლესიების მეტრიკული წიგნების მონაცემები, ცნობილ ჩიღვინაძეთა ბიოგრაფიები, გენეალოგიური ტაბულები, გადმოცემები, თქმულებები, ლეგენდები, ფოტოები და სხვა. ეს ტექსტიც შეიცვლება სრულყოფილით და წიგნიც დაიბეჭდება.

გივი ჩიღვინაძე

ტელ.: 577337118

ელფოსტა: givi_chighvinadze@yahoo.com